





საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№2, 2017





კონკურსები

1. 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1000 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა იყო 26.04.2017 წელი. სულ შემოსული 24 პროექტი გადაეცა საექსპერტო კომისიას.
2. 2017 წლის 8 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 300 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა იყო 3.04.2017 წელი. დაფინანსდა 6 პროექტი:
 - **ხე** (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში)
 - **დაკარგული რვანახევარი** (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი)
 - **მიუსაფარი** (პროდიუსერი - შპს „საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი)
 - **მომავალი მომავლის შემდეგ** (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორები - სალომე და თამთა ხალვაშები)
 - **მომთაბარე** (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი)
 - **წინ, წინაპრებისკენ!** (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე)

მიმდინარე პროექტები

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია)
- ქართულ-თურქული კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი)
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი)
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე)
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ომობანა“ (პროდიუსერი - შპს „სტენლი“, დირექტორი - ალექსანდრე დარაჩველიძე, რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე);
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე)
- „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუშურიძე)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი_ „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი)
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია)
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულობანა“, (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე)

გადაღების პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩუბჩიკა“ თენგიზ მირზა-შვილი (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი)
- ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“



„ანტონის“ გადასაღები მოედანი უკრაინაში, რეჟისორი ზაზა ურუშაძე



ფოტო - მიხეილ პეტრენკო

(პროდიუსერი - შპს „Georgian International Films“ დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე)

მონტაჟის პერიოდში:

- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე)
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაცი“ (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი _ „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა მიაპშიპა, რეჟისორი - ანნა მიაპშიპა)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „აბასთუმანი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ დირექტორი - მარიამ ჭაჭია, რეჟისორები - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი)
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაბანა“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალღუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია)
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე

გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე)

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულაია)
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (პროდიუსერი - შპს „სტუდია ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - აიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია)
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი)
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი)
- ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოწამლულები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია)
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კახეთის მატარებელი“ (პროდიუსერი - შპს „ლირა ფროდაქშენი“ დირექტორი - ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - ლალი კიკნაველიძე)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე)



“საშიში დედა”, რეჟისორი - ანა ურუშაძე





„საშიში დედა“, რეჟისორი - ანა ურუშაძე

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - ანა ურუშაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დაცვის პოლიციელი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიგა ხაინდრავა)

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენთერაძე)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზარ ფილმი“ დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორები - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (პროდიუსერი - შპს „POLARE FILM“ დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რეზო გიგინეიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეღმა“ (პროდიუსერი - შპს „ბი-აი-თი სტუდო“ დირექტორი - მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - ანი კვიჭიძე).

განვითარების პერიოდშია:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).



მძევლები:

20 აპრილს საქართველოს კინოთეატრებში რეზო გიგინეიშვილის ბოლო დროს გახმაურებული ფილმის “მძევლები” ადგილობრივი პრემიერა გაიმართა. “მძევლების” საერთაშორისო პრემიერა რამდენიმე თვის წინ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც ფილმმა დადებითი რეცენზიები დაიმსახურა.

ფილმის სცენარი ეფუძნება 1983 წელს რეალურად მომხდარ ამბავს, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ახალგაზრდების ჯგუფის მიერ თვითმფრინავის გატაცებასა და მის შედეგებს აღწერს. “მძევლები” ქართულ-რუსულ-პოლონური კოპროდუქციაა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფილმი ქართული და პოლონური კინოცენტრების ერთობლივი დაფინანსებით შეიქმნა.

რეზო გიგინეიშვილის ფილმი “მძევლები” საფესტივალო კარიერას განაგრძობს ფილმი, რომლის სცენარის ავტორები ლაშა ბუღაძე და რეზო გიგინეიშვილი არიან, კინოფესტივალზე “კინოტავრი” 2 პრიზით დააჯილდოვეს. რეზო გიგინეიშვილს პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის გადაეცა. ასევე, კინოფესტივალზე დაჯილდოვდა ფილმის ოპერატორი ვლადისლავ ოპელიანცი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის.



ფესტივალები და საერთაშორისო წარმატება



ჩემი ბედნიერი ოჯახი - კინოპრემიერა და კინოგაქირავება საფრანგეთში

ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ საფრანგეთის კინოთეატრებში ამ დროისათვის უკვე 60 000-მა მაყურებელმა ნახა. ფილმის ფრანგული დისტრიბუტორი „Memento Films Distribution,“ თავიდანვე ხედავდა ფილმში კინოწარმატების პოტენციალს და მან ფილმი 100 კინოასლით საფრანგეთის 70 ქალაქის კინოთეატრებს მიაქირავა. ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ („Une Famille heureuse“) ფრანგული კინოპრემიერა 10 მაისს შედგა და მას კინოკრიტიკოსთა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ქართული ფილმი საფრანგეთის კინოთეატრებში მაყურებელმა ორიგინალში, ქართულ ენაზე, ფრანგული სუბტიტრებიტ იხილა. საფრანგეთის კინოთეატრებში ქართული ფილმი ჯერ კიდევ ეკრანებზეა.

გერმანიის კინოგაქირავება

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ („Meine glückliche Familie“) გერმანიის კინოთეატრებში 13 ივლისს გამოვა. მაყურებელს საშუალება ექნება ფილმი როგორც ორიგინალში, ქართულ ენაზე, ასევე გერმანულად სინქრონიზებულიც იხილოს.

ჯილდოები

„ტრანსილვანიის თასი “საქართველოს ერგო!“ - ასეთი სათაურით გავრცელდა რუმინეთის პრესაში და საერთაშორისო კინოგამოცემებში 11 ივნისს ქართული ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ წარმატება. რუმინულ ფესტივალზე ქართული ფილმი მთავარ საკონკურსო პროგრამაში 12 ფილმს შორის იყო წარმოდგენილი და მას 2 ჯილდო ერგო. საუკეთესო სამსახიობო შესრულებისთვის ჯილდო მსახიობ ია შულღიაშვილს გადაეცა, რომელიც ფილმში „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მთავარ როლს ასრულებს.

ევროპის კინოაკადემიამ კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანებას FIPRESCI თხოვნით მიმართა, დაესახელებინა წლის 10 საუკეთესო ფილმი. FIPRESCI-ის აკადემიამ ამ ათეულში „ჩემი ბედნიერი ოჯახიც“ დაასახელა. ათეულშივე მოხვდნენ წლეუანდელი კანისა და ბერლინის კინოფესტივალის რჩეული და პრიზიორი ფილმები.

ევროპის კინოაკადემია პირველ ეტაპზე ნომინანტებს შეარჩევს, 9 დეკემბერს კი სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებული ფილმები ბერლინში, დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდებიან.



უახლოესი კინოფესტივალები

საფესტივალო ცხოვრება „ჩემი ბედნიერი ოჯახისთვის“ ივლისშიც დატვირთული იქნება. ფილმი ივლისის თვეში სამ მნიშვნელოვან კინოფესტივალზე იქნება წარდგენილი: კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი, ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალი და ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალი.


კარლოვი ვარის კინოფესტივალზე „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ სექციაში „ჰორიზონტი“ იქნება ნაჩვენები. ოდესისა და ევრაზიის კინოფესტივალებზე კი ფილმი მთავარ საკონკურსო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მსოფლიო პრემიერა 2017 წლის იანვარში სიდნეის კინოფესტივალზე, ხოლო ევროპული პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. მას შემდეგ ფილმმა არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო დაიმსახურა.

ფილმს „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მაყურებელი საქართველოს კინოთეატრებში სექტემბერში იხილავს.

ქართული ფილმი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ კინოფესტივალზე Visions du Réel

შორენა თევზაძის ფილმი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ კრეატიული დოკუმენტური ფილმების ფესტივალის Visions du Réel საკონკურსო პროგრამაში მოხვდა.



ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერითაა შექმნილი და იგი საქართველოსა და შვეიცარიის კოპროდუქციაა.

კრეატიული დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი Visions du Réel 1969 წელს დაფუძნდა. იგი დოკუმენტური ფილმების პირველი ფესტივალი იყო, რომელმაც გზა გაუხსნა და ასპარეზი მისცა ე.წ. აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების დოკუმენტალისტიკას.

წლების მანძილზე ქართველ კინემატოგრაფისტებს კინოფესტივალზე Visions du Réel არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჯილდო მოუპოვებიათ, წელს კი ფესტივალმა შორენა თევზაძის ფილმის საერთაშორისო პრემიერას უმასპინძლა.

ქართული ფილმი “სამი საფეხური” კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის პრიზიორია

იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმი “სამი საფეხური” კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე 2 პრიზით დაჯილდოვდა. ფილმს ჟიურის სპეციალური აღნიშვნა და მაყურებლის ჯილდო გადაეცა.

“სამი საფეხური” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელიც 13 წლის მარიამის შესახებ მოგვითხრობს. მარიამი სიღარიბესთან ერთად უმკლავდება გარდატეხის ასაკს და მუდმივ შიშს, რომ მამამისი მას ფულის გამო უღალატებს. კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 19-23 აპრილს გაიმართა.

ქართველი კინემატოგრაფისტების ტრიუმფი პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე, 10 მთავარი ჯილდოდან 4 ქართველ კინემატოგრაფისტებს ერგოთ.

კინოფესტივალის საუკეთესო მხატვრული ფილმი გიორგი ბარაბაძის “ლუკა” გახდა. ამავე ფილმში ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი ლია კაპანაძე დააჯილდოვეს.

რუსუდან გლურჯიძის ფილმს “სხვისი სახლი” ასევე, 2 პრიზი ხვდა წილად - საუკეთესო რეჟისურისთვის და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის. რუსუდან გლურჯიძეს ჯილდო ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟან რენომ გადასცა, რომელიც წელს პეკინის კინოფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრი იყო.

ორივე ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით არის შექმნილი.





„ქალების ხმა კინოში“ - სიდნეის კინოფესტივალი

7-18 ივნისს სიდნეის კინოფესტივალმა 10 გამოჩენილ ევროპელ რეჟისორ ქალს უმასპინძლა, რომელთა ფილმებიც უკვე არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია.

სექცია „ქალების ხმა კინოში“ EFP-ს (European Film Promotion) მხარდაჭერით ჩატარდა.

10 გამოჩენილ ევროპელ ქალ რეჟისორს შორის, რომელთა ნამუშევრებიც ავსტრალიურმა აუდიტორიამ, მედიამ და კინოინდუსტრიის წევრებმა იხილეს, იყო ქართველი რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე. გლურჯიძის ავტობიოგრაფიული დებიუტი „სხვისი სახლი“ არაერთი კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ლონისძიება „შემოქმედებითი ევროპის“ მედია პროგრამის და ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით მიმდინარეობდა. ასევე, მხარდამჭერები იყვნენ EFP-ს წევრი შემდეგი ორგანიზაციები: Austrian Films, ბრიტანული საბჭო, დანიის კინოინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, German Films, ICA / Portugal, Irish Film Board, მაკედონიის კინოსააგენტო, შვედეთის კინოინსტიტუტი და Swiss Films.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სიდნეის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში 12 ფილმს შორის ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ქართული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ისეთი რეჟისორების ფილმების გვერდით მოხვდა, როგორებიც არიან: სოფია კოპოლა, მიხაელ ჰანეკე, აკი კაურიზმაკი, ილდიკო ენედი, ალან გომისი და სხვა.

საქართველო კანის 70-ე საიუბილეო კინოფესტივალზე:

ეროვნული კინოცენტრი კანის საერთაშორისო კინოფესტივალთან უკვე 10 წელია თანამშრომლობს და კანის კინობაზრობაზე საქართველოს პავილიონს წარმოადგენს.

წელს საქართველოს პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდნენ:

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ზურაბ მაღალაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე,

ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი - თამარ ტატიშვილი,

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მენეჯერი - ნინო შერვაშიძე და Creative Europe - ის მედია პროგრამის მენეჯერი - ლევან ლომჯარია.

ქართველი კინემატოგრაფისტების პროექტები წარდგენილი იყო კინოფესტივალის სხვადასხვა ინდუსტრიულ პროგრამაში: Cinefondation (რატი წითელაძე) Doc Corner (ნინო ვარსიმაშვილი), Producers Network (თეკლა მაჭავარიანი).

პროდიუსერთა საერთაშორისო პლატფორმაზე PRODUCERS ON THE MOVE პროდიუსერი ლაშა ხალვაში იღებდა მონაწილეობას, გიორგი ვარსიმაშვილი კი პროექტით “გაუმარჯოს” კჟისტოვ კიშლოვსკის სახელობის პრიზზე იყო წარდგენილი.

კანის კინოფესტივალის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლების მიერ გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს პავილიონის გახსნა
- კანის კინოფესტივალის დირექტორი ტიერი ფრემო შესაძლოა საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვიოს

ფესტივალის მსვლელობისას ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე კანის კინოფესტივალის დირექტორს, ტიერი ფრემოს შეხვდა. წარმოიშვა აზრი ფრემოს წიგნის “Selection Officielle” ქართულ ენაზე თარგმნისა და მისი საგანმანათლებ-





ლო კუთხით გამოყენების შესახებ. მოგვიანებით დავით ვაშაძე “Selection Officielle-ს” გამომცემელი კომპანიის Editions Grasset წარმომადგენლებსაც შეხვდა. უკვე მიღებულია თანხმობა წიგნის ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ.

ასევე, ტიერი ფრემომ გამოთქვა სურვილი საქმიანი ვიზიტით ეწვიოს საქართველოს და მისი ფილმი Lumière წარუდგინოს ქართულ აუდიტორიას.

- ფრანგული სადისტრიბუციო (გაყიდვების) კომპანიის “Alpha Violet” და საქართველოს თანამშრომლობის ახალი ინიციატივა

“Alpha Violet” - ის დირექტორთან, ვილჟინი დევესასთან შეხვედრისას განიხილებოდა ზაზა ხალვაშის ფილმის “ნამე” საფესტივალო სტრატეგია. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელის მიერ გამოითქვა ინტერესი სხვა ახალი ქართული ფილმების მიმართ და დაიგეგმა ამ კუთხით სამომავლო თანამშრომლობა.

- საქართველო კვლავ სან სებასტიანის კინოფესტივალის ყურადღების ცენტრშია

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართული ფილმები წარმატებით მონაწილეობენ სან სებასტიანის კინოფესტივალის საკონკურსო სექციებში, რის გამოც საქართველო ფესტივალის ორგანიზატორების ყურადღების ცენტრშია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სან სებასტიანის კინოფესტივალის პროგრამების ხელმძღვანელის - რობერტო კუერტოს შეხვედრის დროს.

- სანდენსის კინოფესტივალი ახალი ქართული ფილმებით ინტერესდება

წელს პირველად შედგა ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სანდენსის კინოფესტივალის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის პროგრამერის - კიმ იუტანის შეხვედრა. მას შემდეგ, რაც ორი წარმატებული ქართული ფილმის - “მანქანა რომელიც ყველაფერს გააქრობს” და “ჩემი ბედნიერი ოჯახი” მსოფლიო პრემიერა სწორედ სანდენსის კინოფესტივალზე შედგა, მკვეთრად გაზრდილია ინტერესი ქართული ფილმების მიმართ.

- საქართველო - ნორვეგიის თანამშრომლობა

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი ნორვეგიის კინოფონდის დირექტორს



- სვეინან გოლიმოს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა კოპროდუქციების შექმნის მიზნით. ნორვეგიის კინოფონდის დირექტორმა კი მზადყოფნა გამოთქვა უახლოეს თვეებში საქმიანი ვიზიტით ეწვიოს საქართველოს.

- საქართველო - ლიტვის თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და ლიტვის ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, საქართველოს პავილიონში მოეწყო კინოინდუსტრიის ქართველი და ლიტველი წარმომადგენლების შეხვედრა, რომელსაც ლიტვის კინოცენტრის დირექტორი როლანდას კვიეტკაუსკასი დაესწრო.

შეხვედრის მიზანი ქართველი და ლიტველი კინემატოგრაფისტების ერთობლივი წარმოების შექმნის შესაძლებლობა იყო.

- ლოკარნოს კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ქართულ ფილმებს ყოველწლიურად საქართველოში ვიზიტის დროს შეარჩევს

საქართველოს პავილიონში ეროვნული კინოცენტრის დირექტორის, ზურაბ მაღალაშვილისა და ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის, კარლო კატრიანის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ფესტივალის სელექტორი სერჯიო ფანტი. დაიგეგმა კარლო კატრიანის ყოველწლიური სამუშაო ვიზიტი საქართველოში, რათა ადგილზევე მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და ქართული ფილმების შერჩევა ფესტივალისთვის.

ლოკარნოს კინოფესტივალის წარმომადგენლების მხრიდან უკვე გამოითქვა ინტერესი ერთ-ერთი ქართული ფილმის მიმართ, რომელიც შესაძლოა წელს ლოკარნოს კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იქნას წარმოდგენილი.

- საქართველო - ლუქსემბურგის თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და ლუქსემბურგის ეროვნული კინოფონდის ორგანიზებით, ლუქსემბურგის პავილიონში შედგა შეხვედრა, რომელსაც 7 ქართველი პროდიუსერი დაესწრო. შეხვედრა ლუქსემბურგის ეროვნული კინოფონდის დირექტორმა გაი დალეიდენმა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა გახსნეს.

მსგავსი მასშტაბის ღონისძიება 2 ქვეყნის კინემატოგრაფისტების დაკავშირების და ერთობლივი წარმოების შექმნის მიზნით აქამდე არ გამართულა.

შეხვედრას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ ქართველი პროდიუსერები, რომელთაც უკ-

ვე აქვთ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტებისთვის მიღებული ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება:

1. ციაკო აბესაძე - „ინგა“ (რეჟისორი - დავით აბრამაშვილი)
2. დავით ისაკაძე - „უარყოფითი რიცხვები“ (რეჟისორი - უტა ბერია)
3. პაატა გომიაშვილი - „სიკვდილამდე ერთად“ (რეჟისორები - ლევან და ილო ღლონტები)
4. ელენე მარგველაშვილი - „დრამერი“ (რეჟისორი - კოტე კალანდაძე)
5. ერეკლე ცინცაძე - „ომობანა“ (რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე)
6. რუსუდან ჭყონია - „ვენეცია“ (რეჟისორი - რუსუდან ჭყონია)
7. ვაკო კირკიტაძე - „ზამთრის დეპრესია“ (რეჟისორი თამაზ ნარიშკიძე)

- ახალგაზრდა ქართველ კინოკრიტიკოსებთან შესახვედრად თბილისში კანის „კრიტიკოსთა კვირეულის“ შემოქმედებითი დირექტორი ჩამოვა


ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში - თამარ ტატიშვილი, კანის კინოფესტივალის პარალელური პროგრამის „კრიტიკოსთა კვირეული“ შემოქმედებითი დირექტორს - შარლზ ტესონს და აღმსრულებელ დირექტორს - რემი ბონომეს შეხვდნენ. „კრიტიკოსთა კვირეულთან“ ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლობას ახალი კომპონენტი დაემატება კინოკრიტიკოსთა ტრენინგის სახით.

2017 წელს შარლზ ტესონი უკვე მესამედ ესტუმრება თბილისს ახალგაზრდა კინოკრიტიკოსებისთვის სპეციალიზებული ტრენინგის ჩასატარებლად, 2018 წელს კი კვირეულის ფარგლებში შერჩეული ფილმების ჩვენება საქართველოს კინოდარბაზებში მოეწყობა.

- საქართველო - ავსტრიის თანამშრომლობა

კინოფონდების სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი ავსტრიის კინოფონდის დირექტორს, როლანდ ტეიჩმანს შეხვდა. დაიგეგმა ქართველი და ავსტრიელი პროდიუსერების საქმიანი ვიზიტი ბერლინის საერთაშორისო





კინოფესტივალის ფარგლებში, სადაც მათ მიეცემათ შესაძლებლობა წარადგინონ პროექტები და მოიძიონ რეალური პარტნიორები კოპროდუქციის შექმნის მიზნით. ისევე, როგორც ლუქსემბურგის შემთხვევაში, ეროვნული კინოცენტრი უზრუნველყოფს კინოფესტივალზე იმ ქართველი პროდიუსერების ჩაყვანას, რომელთაც სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტებისთვის მიღებული ექნებათ ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება.

- ქართული წვეულება კანის კინოფესტივალზე

საქართველოს პავილიონში კანის კინოფესტივალის სტუმრებისთვის მოეწყო მიღება, რომელსაც კინოფონდების ხელმძღვანელები, პროდიუსერები, გაყიდვების აგენტები, საერთაშორისო კინოფესტივალების და კინოინდუსტრიის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

- თანამშრომლობა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალთან

შედეგა შეხვედრა ბერლინალეს “კო პრო” ბაზრობის თანადირექტორებთან - მარტინა ბლაისთან და ქათი ბილდჰაუერთან. შეფასდა კინოფესტივალთან საქართველოს თანამშრომლობის შედეგები და მოხდა 2018 წლის პოტენციური პროექტების განხილვა. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეროვნული კინოცენტრი პლატფორმის ოფიციალური პარტნიორი 2018 წელსაც იქნება.

- European Film Promotion-ის გენერალური ანსამბლეა

თამარ ტატიშვილი European Film Promotion-ის გენერალურ ანსამბლეს დაესწრო, როგორც ამ ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენელი. ასოციაციის სამუშაო შეხვედრა ყოველწლიურად კანის კინოფესტივალის მსვლელობისას ეწყობა, სადაც მიმდინარე და ახალი პროექტების განხილვა მიმდინარეობს.

- მეტი ქართული ფილმი და პროექტი ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციის ხელმძღვანელის, ჯეფ მაკნოტონის მხრიდან დამოითქვა დაინტერესება ქართული პროექტების მიმართ. ასევე, სურვილი მეტი ქართული პროექტი იღებდეს მონაწილეობას ფესტივალის ინდუსტრიული სექციის ფარგლებში გამართულ ტრენინგებსა თუ სხვა ღონისძიებებში. ტორონტოს ფესტივალის სელექციონერი დოროტა ლეჩი კი რამდენიმე ახალი ქართული ფილმით არის დაინტერესებული.

- “კინო სკოლაში”

ეროვნული კინოცენტრის პროექტი “კინო სკოლაში” წელს საერთაშორისო პარტნიორობის ფორმატით მიმდინარეობს.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია ლიტვის და ლატვიის ეროვნული კინოცენტრები და ბრიტანული ორგანიზაცია „FILM LITERACY EUROPE LIMITED”.

კანის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა პარტნიორობის რიგით მესამე შეხვედრა, სადაც პროექტის წარმატებული შედეგები შეფასდა და მოხდა მომავალი სამოქმედო გეგმის შეთანხმება.

- ქართული კინოს პერსპექტივები ჩინურ ბაზარზე

ჩინეთის კინოარქივის ხელმძღვანელის, ვანგ ილანის დაინტერესებიდან გამომდინარე, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინეთის კინოარქივთან, როგორც ახალი ფილმების, ასევე ქართული კინოკლასიკის დისტრიბუციაზე, რაც ხელს შეუწყობს ქართულ კინოს ჩინურ ბაზარზე გასასვლელად.

- საქართველო FILMKUNSTFEST-ის ფოკუსში

გაიმართა შეხვედრა გერმანიის კინოკომისიის FilmLand M-V დირექტორთან და კინოფესტივალის FILMKUNSTFEST სამხატვრო ხელმძღვანელთან, ვოლკერ კუფალთან. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ 2018 წელს ფესტივალის ფოკუსში სწორედ საქართველო იქნება.

- International Filmfestival Mannheim-Heidelberg კოპროდუქციის პლატფორმაზე ქართულ პროექტებს იწვევს

ფესტივალის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ 2018 წელს ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ კოპროდუქციის პლატფორმაზე მეტი ქართული პროექტი იყოს წარმოდგენილი. ამ კუთხით დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.

- თანამშრომლობა ვენეციის კინოფესტივალის ფარგლებში

გაიმართა შეხვედრა „არტ - კინოთეატრების მენეჯერების“ ტრენინგ პროგრამის ხელმძღვანელთან, ჯულიეტ ლე ბარონთან. ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა ვენეციის კინოფესტივალის ფარგლებში.

- საქართველო კოტბუსის კინოფესტივალის ფოკუსში

კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბერნ ბუდერმა ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დაადასტურა, რომ საქართველო 2018 წელს კინოფესტივალის ფოკუსში იქნება. ამას გარდა, კოტბუსის კინოფესტივალის მხარდაჭერით შედგება თანამშრომლობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობასთან, რომლის მასპინძელი ქვეყანა 2018 წელს საქართველოა. ქართული კინოს (25 ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, როგორც თანამედროვე, ასევე კინოკლასიკა) თავდაპირველად რეტროსპექტივა ბერლინის “არსენალის” მუზეუმში გაიმართება, ხოლო, შემდეგ ფრანკფურტსა და კოტბუსში გადაინაცვლებს.

- Best Practice Exchange - BPX

საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში თამარ ტატიშვილი პლატფორმის “Best Practice Exchange - BPX” ღონისძიებას დაესწრო. შეხვედრაზე არაფორმალურ გარემოში განიხილეს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო პროგრამები და გააანალიზეს ამ პროგრამების სუსტი მხარეები.

- ახალი ქართული ფილმებით სტოკჰოლმის საერთაშორისო ფესტივალი დაინტერესდა

სტოკჰოლმის კინოფესტივალის სელექტორის, მარია რაზაკამბოლის მხრიდან გამოითქვა ინტერესი ახალი ქართული ფილმების მიმართ. ფესტივალთან თანამშრომლობა გაზრდის ქართული კინოს ცნობადობას სკანდინავიურ ქვეყნებში.

- თანამშრომლობა კემბრიჯის საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალთან

კემბრიჯის საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალის სტრატეგიულმა კონსულტანტმა ბერნადეტ შრამმა საქართველოს პავილიონში სტუმრობისას დაადასტურა, რომ ფესტივალი დაინტერესებულია ქართული სტუდენტური ფილმებით და გამოთქვა ახალგაზრდა ქართველ კინემატოგრაფისტებთან თანამშრომლობის მზადყოფნა.

- თანამშრომლობა საერთაშორისო კინოფესტივალთან WIDE


საქართველოს პავილიონს საერთაშორისო კინოფესტივალის WIDE კოორდინატორი ანა პერმონტი ეწვია, რა დროსაც მას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ინფორმაციას ახალი ქართული ფილმებისა და პროექტების შესახებ. ანა პერმონტი მზადაა ფესტივალის სახელით ითანამშრომლოს ქართულ მხარესთან.

- “ევროპული კინოფესტივალი” ქართული სტუდენტური ფილმების მოლოდინში

კიდევ ერთი ფესტივალი, რომელიც ქართული სტუდენტური ფილმებითაა დაინტერესებული არის “ევროპული კინოფესტივალი”. სტუდენტურ ფილმებზე სასაუბროდ და სამომავლო თანამშრომლობის განსახილველად ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრა კინოფესტივალის სამხატვრო დირექტორმა, ალბერტო ლა მონიკამ გამართა. ფესტივალი ყოველწლიურად იტალიაში იმართება.

- “გადაიღე საქართველოში”

ნადი ფულის უკან დაბრუნების სისტემის, ე.წ. Cash Rebate-სთან დაკავშირებით შედგა შეხვედრები FILM ENGINE-ს აღმასრულებელ პროდიუსერთან, კრისტოფ გორგტთან და Panorama Motion Pict - ის ხელმძღვანელთან, იოჰანეს ბოესიგერთან.



მას შემდეგ, რაც პროგრამის “გადაიღე საქართველოში” პრეზენტაცია წარმატებით გაიმართა სხვადასხვა პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალზე და პროგრამის მიერ მხარდაჭერილ კინოპროექტებს ქვეყნისთვის ფინანსური თუ საფესტივალო წარმატებები მოაქვს, სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის მიმზიდველი გადასაღები ქვეყნის მიმართ.



ქართული ანიმაციის საერთაშორისო წარმატება

ქართული ანიმაცია ანსის ფესტივალზე

ქართული ანიმაციის ისტორიაში, წელს, პირველად, ორი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი იყო წარდგენილი ანსის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში.

ჯიზის კაცი - რეჟისორი ანა ჩუბინიძე, პირველი ქართულ-ფრანგული ერთობლივი წარმოება.

ჯინო - რეჟისორი დათო კიკნაველიძე, პირველი ქართულ-გერმანული ერთობლივი წარმოება.

ორივე ფილმი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით არის შექმნილი.

ანსის ფესტივალზე ქართული ანიმაციების ჩვენებებს ანშლაგი მოჰყვა. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ქართული ანიმაციის ისტორიის პრეზენტაცია, 90 წლის ისტორიის შესახებ მოხსენებას გაუძღვა პროდუსერი და რეჟისორი, ნიქოზის ფესტივალის ორგანიზატორი - მარიამ კანდელაკი. მან უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა ფესტივალის პროგრამების შეხვედრაში. ფრანგმა პროდუსერმა - ოლივიე კატერინმა ისაუბრა ქართული ანიმაციის მსოფლიო ასპარეზზე წარმატებების შესახებ.



ნიქოზის და ანსის ფესტივალების და კინოცენტრის ერთობლივი ვორქშოფის გამარჯვებულმა – ნათია ნიკოლაშვილმა ფესტივალის ფარგლებში წარადგინა მისი ახალი პროექტი.

ცნობილმა ფრანგმა კინოკრიტიკოსმა ალექსის შიგერუ ენომ ანა ჩუბინიძე და მარიამ კანდელაკი მიიწვია კონფერენციაზე, სადაც ისაუბრეს ქართულ ანიმაციაზე, ერთობლივ წარმოებასა და სამომავლო გეგმებზე.

მსოფლიო ანიმაციური ინდუსტრიის წარმომადგენლების ინტერესი საკმაოდ გაიზარდა ქართული ანიმაციის მიმართ, შედგა ინდუსტრიული შეხვედრები და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.

ნიქოზის ფესტივალის წარმატება

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს “ნიქოზი” EFFE-მ (Europe For Festivals Festivals For Europe) ევროპული ფესტივალის ხარისხი მიანიჭა. ეროვნული კინოცენტრი “ნიქოზის” კინოფესტივალის მხარდამჭერია მისი დაარსების დღიდან და ულოცავს ფესტივალის დამფუძნებლებს და ორგანიზატორებს ამ საერთაშორისო აღიარებას.

“ჯიბის კაცი” კინოფესტივალზე L’Ombre d’un court 2 პრიზის მფლობელი გახდა

საფრანგეთში, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე L’Ombre d’un court ანა ჩუბინიძის ანიმაციურმა ფილმმა “ჯიბის კაცი” ორი ჯილდო მოიპოვა: საუკეთესო სცენარი ახალგაზრდული ჟიურისაგან და ახალგაზრდა მაცურებლის პრიზი.

“ჯიბის კაცი” საერთაშორისო მაცურებლის წინაშე პირველად ნიუ-იორკის საბავშვო ფილმების ფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში წარდგა. წარმატებული მსოფლიო პრემიერის შემდეგ კი მონრეალის კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მოპოვება შეძლო.

„ჯინო“ ფესტივალების საკონკურსო სექციებში

ქართული ფილმი “ჯინო” 4 მნიშვნელოვანი ანიმაციური კინოფესტივალის საკონკურსო



პროგრამაშია. ფილმს ჯერ ხორვატიაში, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ წამყვან ანიმაციურ კინოფესტივალზე Supertoons ნახავენ (16-21 ივლისი), შემდეგ კი “ჯინო” იტალიაში გადაინაცვლებს და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ანიმაციურ კინოფესტივალზე “ჯიფონი” (14-22 ივლისი) წარდგება.

“მზის ქალაქი” მადრიდის კინოფესტივალის საუკეთესო ფილმი გახდა

რატი ონელის ფილმი “მზის ქალაქი” მადრიდის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის DocumentaMadrid გამარჯვებულია.



მას ფესტივალის მთავარი ჯილდო საუკეთესო ფილმისთვის გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიალს თავად რეჟისორი, რატი ონელიც დაესწრო.

“მზის ქალაქი” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის საერთაშორისო პრემიერაც ბერლინის კინოფესტივალზე შედგა.

მას შემდეგ ფილმი არაერთ ქვეყანაში წარმატებით აჩვენეს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის

ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გიEast კი კულტურული მრავალფეროვნების ფედერალური უწყების პრიზი გადასცეს. ფილმი ასევე დაჯილდოებულია ბრიტანეთში, კინოფესტივალზე Sheffield Doc/Fest ფესტივალის სექციის Art Doc მთავარი პრიზით.

ქართველი კინემატოგრაფისტების გამარჯვება კინოფესტივალზე გიEast

26 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით გერმანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს გიEast მასპინძლობდა, სადაც ქართველი კინემატოგრაფისტები დაჯილდოვდნენ.

ნანა ექვთიმიშვილსა და სიმონ გროსს პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის გადაეცათ ფილმისთვის “ჩემი ბედნიერი ოჯახი”.

ფილმი ასევე დაჯილდოვდა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის ჯილდოთი “ფიპრესი”. ფესტივალის ერთ-ერთი რჩეული გახდა კიდევ ერთი ქართული ფილმი “მზის ქალაქი”. რატი ონელის დოკუმენტურ ნამუშევარს კულტურული მრავალფეროვნების ფედერალური უწყების პრიზი გადასცეს.

წელს კინოფესტივალზე გიEast არაერთი ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი. ფესტივალზე ასევე აჩვენეს პირველი ქართველი ქალი რეჟისორის, ნუცა ლოღობერიძის ფილმი “ბუბა”, ლანა ლოღობერიძის ფილმი “რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე”, ოთარ იოსელიანის “ზამთრის სიმღერა” და ნუცა ალქესი-მესხიშვილის ფილმი “ბედნიერება”.

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი CinéDOC-Tbilisi

11 მაისს გაიხსნა დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი CinéDOC-Tbilisi. ეროვნული კინოცენტრი მეხუთე წელია ტრადიციულად ფესტივალის მხარდამჭერია. ფესტივალი წელს უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური იყო. მაცურებელს საშუალება ჰქონდა ენახა 67 დოკუმენტური ფილმი მსოფლიოს 30 ქვეყნიდან.

ფილმები ხუთი ძირითადი თემატიკის მიხედვით იყო დაყოფილი: სოლიდარობა, უსაფრთხოება, ვნება, ფანტაზია და რწმენა.

წელს CinéDOC Tbilisi -ის სტუმარი ქვეყანა იყო ლიტვა. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის საქართველოს ლიტვის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრებს შორის იყო ლიტვის კინოცენტრის დირექტორი - როლანდას კვიეტკაუსკაში, რომელიც მის ქართველ კოლეგას, ზურაბ მაღალაშვილს ეროვნულ კინოცენტრში შეხვდა.

CinéDOC Tbilisi 16 მაისს დაჯილდოების საზეიმო ცერემონილით დაიხურა. გამარჯვებულები რამდენიმე სექციაში გამოვლინდნენ:

- საერთაშორისო კონკურსი გამარჯვებული ფილმი - “ვერ წარმოიდგენ როგორ მიყვარხარ” რეჟისორი - პაველ ლოზინსკი.
- Focus Caucasus გამარჯვებული ფილმი - “დიდუბე, ბოლო გაჩერება” რეჟისორი - შორენა თევზაძე.
- CivilDOC გამარჯვებული ფილმი - “ადა მერად” რეჟისორი - პაუ ფაუსი.
- CineDOC Young გამარჯვებული ფილმი - “საუბრები სერიოზულ თემებზე” რეჟისორი: გიდრე ბეინორუტე.





თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, 31 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი გაიმართა.

4 ივნისს, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე თბილისის მერიის ბიგ ბენდის კონცერტის შემდეგ, ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრებმა გამარჯვებულები გამოავლინეს:

საუკეთესო ანიმაციური ფილმი: მარწყვის დღეები / სლოვაკეთი

საუკეთესო დოკუმენტური ფილმი: ტაიმორის შოუ / ისრაელი

საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი: ბიზნესი / არგენტინა

ჟიურის პრიზი: ფანჯარა / იტალია

2017 წლის ფესტივალის პროგრამაში იყო 19 ქვეყნის კინოსკოლის 38 ფილმი. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ჟიურის წევრების და მოწვეული სტუმრების მასტერკლასები, საკონკურსო კინოჩვენებები, ვლადიმერ სულაქველიძის გამოფენა „სკამები“ და სხვა ღონისძიებები.

„თავისუფალი ხალხის კინო“ – უკრაინული კინოს დღეები


27-30 / აპრილი
ყოველდღე / 20:00

კინოფესტივალი
უკრაინა ფოკუსში

თავისუფალი ხალხის კინო

კინოთეატრი 'ამიჩანი'
მ. კოსტავას 36/1

დასწრება
თავისუფალია



27-30 აპრილს საქართველომ უკრაინული კინოს დღეებს უმასპინძლა. კინოფესტივალი „უკრაინა ფოკუსში“ რამდენიმე დღის მანძილზე ფილმების ჩვენებებსა და უკრაინელი კინემატოგრაფისტების მასტერკლასებს მართავდა.

ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ კომპანია FX Film Georgia და JS Films. ღონისძიება გაიმართა კინოს საკითხებში უკრაინის სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოში უკრაინის საელჩოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალის, ასევე კომპანია Solar Media Entertainment და Arcadia Media House მხარდაჭერით.

ფესტივალი გახსნა ფილმმა „გვრიტის ბუდე“.

„ანას ცხოვრება“ ბულგარეთში დააჯილდოვეს

3-7 ივნისს ბულგარეთში საერთაშორისო კინოფესტივალი The Golden Linden გაიმართა. დაჯილდოების ცერემონიაზე ქართველი რეჟისორი ნინო ბასილია ფილმისთვის „ანას ცხოვრება“ საუკეთესო რეჟისორის პრიზით დააჯილდოვეს. „ანას ცხოვრება“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომლის



მსოფლიო პრემიერა შვედეთში გოტებორგის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. იგი ინგმარ ბერგმანის პრიზზე იყო წარდგენილი.

ფილმს უკვე აქვს მოპოვებული არაერთი საერთაშორისო ჯილდო, 16 ივნისიდან კი „ანას ცხოვრება“ ესპანეთის კინოთეატრებში გამოვიდა.

„მანდარინები“ იტალიელმა მაყურებელმა წლის საუკეთესო ფილმად აღიარა

ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინანტი ფილმი „მანდარინები“ იტალიაში კიდევ ერთი პრესტიჟული პრემიის მფლობელი გახდა.



San Fedele-ს პრემია წელს 61-ედ გაიცა და იგი სწორედ ქართველ რეჟისორს, ზაზა ურუშაძეს ხვდა წილად.

იტალია მსოფლიოს მასშტაბით წლის საუკეთესო ფილმს 1956 წლიდან ირჩევს და პრემიას ანიჭებს. გამოკითხვაში ჩართულია ყველა, როგორც კინოკრიტიკოსები და კულტურული სფეროს წარმომადგენლები, ასევე, რიგითი მაყურებლები. გამარჯვებული კი წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ერთი კონკრეტული ფილმი ხდება.

წლების მანძილზე San Fedele-ს პრემია ისეთ გამოჩენილ კინემატოგრაფისტებს აქვთ მიღებული როგორებიც არიან: ფედერიკო ფელინი, ფრანჩესკო როსი, პიერ პაოლო პაზოლინი, ინგმარ ბერგმანი, მილოშ ფორმანი, აკირა კუროსავა, რობერტო ბენინი, პედრო ალმადოვარი, სტივენ სპილბერგი და სხვა.

ზაზა ურუშაძე მილანშია მიწვეული, სადაც, როგორც საპატიო სტუმარს და პრემიის ლაურეატს, San Fedele-ს კინოთეატრში ცნობილი იტალიელი სკულპტორის Mimmo Paladino-ს მიერ შექმნილ სკულპტურას გადასცემენ.

საქართველო-ესტონეთის კოპროდუქცია “მანდარინები” ეკრანებზე 2015 წელს გამოვიდა.

ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს, ოსკარის და ოქროს გლობუსის ნომინაციების გარდა, ფილმმა უამრავი მნიშვნელოვანი ჯილდო მიიღო მსოფლიოს არაერთ წამყვან კინოფესტივალზე.



ელდარ შენგელაიას ახალი ფილმი მოსკოვის კინოფესტივალზე

“ნამდვილი ტალანტი არასდროს იკარგება, დიდი ოსტატები კი, როგორც ქართული კინემატოგრაფის მეტრი, ელდარ შენგელაია, რჩებიან დიდ ოსტატებად სულ. ამ სიტყვებს ადასტურებს ბატონი ელდარის ახალი ფილმი “სავარძელი”. ვულოცავთ მას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ფილმის წარმატებას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ მომავალში.”

კირილ რაზლოგოვის - მოსკოვის კინოფესტივალის დირექტორის სიტყვები ელდარ შენგელაიას ფილმის ჩვენებაზე.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის კინოფესტივალზე ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის ჩვენება გაიმართა.

დიდი ქართველი რეჟისორი ახალი ნამუშევრით „სავარძელი“ რუსეთის მასშტაბით კიდევ 5 კინოფესტივალზეა მიწვეული. ასევე, ელდარ შენგელაია ვარნას კინოფესტივალის ჟიურის წევრი იქნება და ამავე ფესტივალზე გაიმართება მისი ფილმის ჩვენებაც. „სავარძელს“ მალე ნახავენ ლონდონშიც, ხოლო 5 ოქტომბერს ელდარ რიაზანოვის კლუბში იგეგმება ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის პრემიერა. რუსულმა ტელეარხმა „კულტურა“ ფილმის ჩვენების უფლება შეიძინა, ასევე არხმა ჩაწერა ვრცელი ინტერვიუ ლეგენდარულ ქართველ რეჟისორთან. ფილმი ეთერში ოქტომბერში გავა.





კინო სკოლაში:

ეროვნულმა კინოცენტრმა პროექტ „კინო სკოლაში“ ახალი სეზონი დაიწყო. ამასთან დაკავშირებით 4 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი დაესწრნენ.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი მეოთხე წელია მიმდინარეობს და იგი ყოველ სეზონზე სიახლეს სთავაზობს კინოსკოლელებს. წელს „კინო სკოლაში“ აქტიურად ითანამშრომლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „თავისუფალი გაკვეთილების“ პროგრამასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ კინოჩვენებებსა და დისკუსიებს კინოსპეციალისტებთან ერთად სკოლის პედაგოგებიც ჩაატარებენ.

პროექტი „კინო სკოლაში“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით მიმდინარეობს. ამჟამად პროექტში ჩართულია 217 სკოლა და საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიანი სოფლები.

პროექტი „კინო სკოლაში“ წელს საერთაშორისო პარტნიორობის ფორმატით მიმდინარეობს. პროექტის განხორციელებაში ჩართულია ლიტვის, ლატვიის ეროვნული კინოცენტრები და ბრიტანული ორგანიზაცია „FILM LITERACY EUROPE LIMITED“. კანის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა პარტნიორობის რიგით მესამე შეხვედრა, სადაც მოხდა შედეგების შეჯამება და მომავალი სამოქმედო გეგმის შეთანხმება.



ავტორი: ალი განდუმი



ავტორი: ალი განდუმი

SOFA – School of Film Agents - ევროპული კინოაგენტების ტრეინინგი საქართველოში

2017 წელს გერმანია-საქართველოს მეგობრობის ოფიციალური პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტი - კინოაგენტების სკოლის სამუშაო შეხვედრა. SOFA ეს არის პროფესიული ვორქშოფი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა და ძლიერი პოტენციალის მქონე კინოაგენტების მომზადებას. მონაწილე კინოაგენტებს ვორქშოპები ჩაუტარეს მაღალი დონის საერთაშორისო მენტორებმა.

სკოლის ვორქშოფის ხელმძღვანელია ნიკოლაი ნიკიტინი, რომელიც ამავედროულად ბერლინალეს კინოფესტივალის ოფიციალური დელეგატია და აქტიურად კურირებს საქართველოს. ამას გარდა, ვორქშოფის ფარგლებში ჩატარდა 3 საჯარო ლექცია კინოინდუსტრიის მომიჯნავე წამყვანი პროფესიონალების მიერ.

SOFA - კინოაგენტების სკოლა 2013 წლიდან არსებობს პოლონეთში და ხელს უწყობს პროექტებს ევროპის წამყვან სპეციალისტებთან ერთად ეტაპობრივ განვითარებაში.

პროექტი ერთობლივად განახორციელეს კომპანია “ფილმპლიუსი” (გერმანია), დემოკრატიული



ავტორი: ალი განდუმი

ცვლილებების ინსტიტუტმა და თეიქს ფილმმა (საქართველო).

პროექტის დამფინანსებლები იყვნენ: გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირის პროგრამა - “შემოქმედებითი ევროპა”, ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი და სსიპ “აწარმოე საქართველოში”. პროექტის პარტნორები: პოლონეთის კინოინსტიტუტი, ვარშავის კინოკომისია, კარლოვი ვარის კინოფესტივალი, გოეთეს ინსტიტუტი, ისრაელის კინოფონდი.

საქართველო AFCI Locations Show-ზე

6-9 აპრილს ლოს ანჯელესში AFCI Locations Show გაიმართა, სადაც საქართველოს სტენდი უკვე მეორედ იყო წარმოდგენილი.

ქართული დელეგაციის წევრებმა გამართეს შეხვედრები ამერიკული კინოინდუსტრიის წამომადგენლებთან, გააცნეს პროგრამის “გადაიღე საქართველოში” დეტალები და საქართველო, როგორც აღმოსავლეთ-ევროპის მიმზიდველი გადასაღები ქვეყანა.

აღსანიშნავია, რომ წელს ღონისძიებაში ორი ქართული საპროდიუსერო კომპანია - „Betterfly” და „POLare FILM” მონაწილეობდნენ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში” კიდევ ერთი, კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტი დაემატა. პროგრამა „გადაიღე საქართველოში” საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა 2016 წლის 26 იანვარს წარუდგინა.

2017 წლის აპრილის თვის მონაცემებით პროგრამის „გადაიღე საქართველოში” ფარგლებში განხორციელდა 5 საერთაშორისო პროექტი, ჯამში საქართველოში დაიხარჯა 7 305 065 მილიონი ლარი და ადგილობრივად დასაქმდა 650 ადამიანი.

პროგრამას “გადაიღე საქართველოში” მეწარმეობის განვითარების სააგენტო ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს.





საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge